პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# პროლეტარული სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტების, აგიტაციისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели—орган парткома, ректората, комитета АКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 4 (318)

26 იანვარი, ხუთშაბათი, 1961 წ.

ფასი 2 კაპ.

პირველი გამოცდები წარმატებით დაამთავრეს!

ფოტოტეტი ლ. ჭილაშვილისა

## ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲗ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ

81 ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1960 წლის ნოემბრის თათბირი წარმოადგენს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას. თათბირზე ძირფესვიანად და შემოქმედებითად განიხილეს თანამედროვეობის აქტუალური პრობლემები. ამის საფუძველზე მიღებული განცხადება და მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის იდეური და პოლიტიკური გამარჯვების ბრწყინვალე ნიმუშია.

განცხადებაში წამოყენებული ახალი იდეებისა და დებულებების ღრმად დაუფლება პარტიული განათლების ქსელის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოცემულ ეტაპზე. უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის დადგენილების საფუძველზე ეკონომიური "ფაკულტეტის პარტბიუროომ განიხილა საკითხი დასახელებული ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტების შესწავლაზე პარტიული განათლების ყველა რგოლის გადაყვანის შესახებ და მიიღო სათანადო ღონისძიებანი. პარტიული განათლების ქსელის ცალკეული რგოლის ხელმძღვანელებთან ჩატარებულ იქნა საინსტრუქტაჟო მეთოდური სემინარი თათბირის მასალების ათვისებისა და გაშუქების კონკრეტულ საკითხებზე.

ეკონომიურ მეცნიერებათა ძირითადი საფუძვლების შემსწავლელ სემინარს, რომელშიც გაერთიანებული არიან პროფესორ-მასწავლებლები (ხელმძღვანელი — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ჩანტლაძე), გათვალისწინებული აქვს ორი მეცადინეობა მიუძღვნას თათბირის მასალების შესწავლას. სემინარზე წაკითხულ იქნება შემდეგი მოხსენებები: 1. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ახალი ეტაპი; 2. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობა და დარაზმულობა — მათი ძალისა და უძლეველობის წყაროა.

ფაკულტეტზე მომუშავე ლაბორანტებისათვის შექმნილია პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი სემინარი (ხელმძღვ. — დოც. გ. მანჯგალაძე), რომელშიც თათბირის მასალების შესახებ წაიკითხება სამი მოხსენება: 1. თანამედროვე ეპოქის ძირითადი შინაარსი და მისი დახასიათება; 2. ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის, ახალი ომის მომზადების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ; 3. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე კომუნისტური პარტიების ერთიანობა და დარაზმულობა — მათი ძალისა და უძლეველობის წყაროა. თათბირის მასალებზე საუბრები ჩატარდება აკადემიურ ჯგუფებში, სადაც აგიტატორებად მიმაგრებულნი არიან პროფესორ-მასწავლებლები.

ფაკულტეტზე წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა ყურადღების ცენტრი გადატანილია თათბირის მასალების ძირითადი საკითხების შესწავლაზე. ეკონომიური ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაცია დეკანატთან ერთად მჭიდროდ დარაზმავს ფაკულტეტზე მომუშავე მთელ კოლექტივსა და სტუდენტობას, რათა ღრმად შეისწავლონ მოსკოვის თათბირის ისტორიული მასალები.

დოც. გ. ადეიშვილი,
ეკონომიური ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე.

## ᲡᲐᲒᲒᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲐ

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დერეფანში სტუდენტები შეჯგუფებულიყვნენ. ისინი ყურადღებით ათვალიერებდნენ ლამაზად გაფორმებულ სტენდებს, უკვირდებოდნენ, მსჯელობდნენ, კამათობდნენ.

ეკონომიური გეოგრაფიის კათედრამ (გამგე — პროფ. ლ. კარბელაშვილი) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წლისთავთან დაკავშირებით მოაწყო სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. აქ წარმოდგენილია სტუდენტების მიერ შედგენილი ეკონომიურ-გეოგრაფიული ხასიათის რუკები როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე საბჭოთა კავშირის ძირითადი ეკონომიური რაიონებისა, აქვეა საზღვარგარეთის ქვეყნების რუკებიც.

განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ეკონომიური გეოგრაფიის სპეციალობის მეხუთეკურსელ სტუდენტთა ნამუშევრები. მათ პროფ. ლ. კარბელაშვილის ხელმძღვანელობით და უშუალო დახმარებით, შეადგინეს საქართველოს სხრ დარგობრივი და რაიონული რუკები. დარგობრივი რუკების შედგენისას სტუდენტებმა გამოიყენეს რესპუბლიკის სტატისტიკური განყოფილებიდან მიღებული მასალები, თითოეულმა მათგანმა ამ მასალების ანალიზის საფუძველზე შეადგინა თავის სურვილით არჩეული დარგობრივი რუკა, განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ვ. გუჯაბიძის ნამუშევარი — „საქართველოს სხრ მოსახლეობის რუკა".

ზემოხსენებული ხერხით რუკების შედგენა უთუოდ სასარგებლოა და მისასალმებელი. აქ სტუდენტის შრომა შემოქმედებით ხასიათს ატარებს, რაც გამორიცხულია რუკების წიგნებიდან მექანიკურად გადახაზვის დროს.

ჭ. ჯანელიძე,
ნ. ლოლობერიძე



ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი დ. ქაშუაშვილი (მარჯვნივ) ალგებრის მათემატიკურ ანალიზში ახარებს პროფესორ ვ. ზერაბიძეს (მარცხნივ) ასისტენტ მ. კრიხელს. გამომცდელებმა სტუდენტის ცოდნა ზეაფეს.

## ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲜ

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების I—II კურსებზე ინგლისური ენის ჯგუფებში სულ 91 სტუდენტი სწავლობს. კურსებზე 3-3 ქვეჯგუფია. ყოველ ჯგუფში საშუალოდ 15-მდე სტუდენტია. ამ ახალგაზრდების დიდი ნაწილი ყოველნაირად ცდილობს, რომ რაც შეიძლება უკეთ დაეუფლოს ინგლისურ ენას, გამოვიდეს ამ საგნის ნამდვილი სპეციალისტი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბევრმა სტუდენტმა ამ საგანში ფრიადი დაიმსახურა. ესენი არიან: პირველკურსელები — ე. აჯიაშვილი, ნ. ბარდანაშვილი, ნ. იაშვილი, მ. მაჭავარიანი, ნ. ალადაშვილი, ნ. კოდუა, გ. შაქარიშვილი, ქ. ნაცვლიშვილი, მ. რუზერი და დ. ტყეშელაშვილი; მეორეკურსელები — მ. ბაკრაძე, ზ. გარსევანიძე, ბ. კვიტაიშვილი, ნ. თვარაძე და ნ. ოქრუაშვილი.

სამწუხაროდ, ამ საამაყო სტუდენტების გვერდით ისეთებიც არიან, რომელთაც, როგორც ეტყობა, არ იმეცადინეს, როგორც საჭირო იყო, და მოუმზადებელი მოვიდნენ გამოცდებზე. ამის შედეგი კი ბუნებრივია — არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს.

I კურსიდან ასეთი ჩამორჩენილი სტუდენტები არიან: ნ. გოგოლაშვილი, ლ. რამიშვილი, რ. ორმოცაძე, ნ. ბაკურაძე, თ. მჭედლიშვილი, ე. კარანაძე და სვ. ჯორბენაძე. მეორე კურსიდან: ნ. ლეკვა, გ. ლაღიძე, ლ. ძიძიგური, დ. ჯაფარიძე, ზ. ლოლუა, მ. დოლონაძე, ეკ. გერმესაშვილი და ნ. ინასარიძე.

პირველკურსელი სტუდენტებისათვის ეს პირველი გამოცდაა და მათ კიდევ აქვთ საშუალება მდგომარეობა გამოასწორონ, მხარში ამოუდგნენ მეგობრებს, რომლებიც წარჩინებით სწავლობენ. მეორეკურსელთა ვითარება კი უფრო სავალალოა, როგორც ჩანს, აქ ჩამორჩენილ სტუდენტებს საჭირო დასკვნები ვერ გამოაქვთ. საერთოდ, ეს კურსი უფრო მაღალი მაჩვენებლებისათვის უნდა იბრძოდეს. საღამოს დასწრებული განყოფილების II კურსის ინგლისური ენის ჯგუფებში სულ 49 სტუდენტია. აქედან ინგლისურ ენაში ფრიადი მიიღო მხოლოდ ხუთმა სტუდენტმა, 11-მა დაიმსახურა კარგი, 20 სტუდენტის ცოდნა დამაკმაყოფილებელზე შეფასდა, 8 სტუდენტი ჩაიჭრა და დანარჩენი 5 კი გამოცდებზე სულაც არ გავიდა. მაშ, 49 კაციდან ფრიადსა და კარგზე სწავლას ახერხებს მხოლოდ 16 სტუდენტი. ცხადია, მარტო ეს ციფრობრივი მონაცემებიც ნათლად მეტყველებს, რომ დასახელებული კურსის საერთო შედეგები სრულიად არაა დამაკმაყოფილებელი. ამის შესახებ კურსის თითოეულმა სტუდენტმა უნდა იფიქროს და შესაფერისად გარდაჭრნის თავისი მუშაობა.

ო. ურიგაშვილი

## ᲓᲔᲙᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲐᲠᲣᲚᲘ

კარგია, როცა ამაგი გიფასდება.

— ლაურა! — დაიძახა ქერათმიანმა გოგონამ და აუდიტორიის კარს თვალი მიაპყრო. კართან თვალებგაბრწყინებული ლაურა სორდია იდგა.

— რა მიიღე? — შემოეხვივნენ თანაკურსელები.

— ფრიადი.

დღეს ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორეკურსელები საზღვარგარეთის ლიტერატურას აბარებენ (ლექტორი — ფ. გოკიელი). 791-ე ჯგუფის 18 სტუდენტიდან არცერთს არ მიუღია არადამაკმაყოფილებელი ნიშანი. კარგი მიიღო ათმა, ხოლო ოთხმა ფრიადიან დაამშვენა ჩათვლის წიგნაკი.

სამწუხაროდ, ასე ვერ ისახელებ თავი 792-ე ჯგუფის სტუდენტებმა. 25 სტუდენტიდან გამოცდაზე მხოლოდ 14 გამოცხადდა. — წინა გამოცდა მოგვიანებით ჩავბარეთ და ამიტომ ვერ გამოვცხადდით დროზეო, — გადმოგვცა პატივცემულმა გოკიელმა სტუდენტების ნათქვამი. ჩვენ მათ გვარებს არ ვასახელებთ. იმედია, ისინი შეიგნებენ თავიანთ შეცდომას და შემდგომში მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ყოველ გამოცდას.

793-ე ჯგუფში რამდენიმე სტუდენტმა არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო (ეკა შელავა, არსენიშვილი, გოგიჩაიშვილი, თოორდუა). კარგი მიიღო 9-მ, ფრიადი კი — 11-მა. მათ შორის თავიანთი კარგი პასუხით გამოირჩეოდნენ—გეგეჭაძე, ბურგენაძე, სალიაშვილი.

დამოუკიდებელი მუშაობა სახელმძღვანელოზე ყველა სტუდენტს ერთნაირად როდი ეხერხება და, თუ ისინი ლექციას არ დაესწრებიან, ხშირად დაბალ ნიშნის იღებენ.

ამას გარდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს თარგმნილი ლიტერატურის კითხვას. ჩვენ, ქართველ მკითხველებს, გვაქვს შეჭსპირის ნაწარმოებთა მაჩაბლის მიერ შესრულებული შესანიშნავი თარგმანები. აგრეთვე, კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ნათარგმნი დანტეს „ღვთაებრივი კომედია" და სხვ. განა ჩვენი ფაკულტეტის ყოველ სტუდენტს არ უნდა ჰქონდეს ეს თარგმანები წაკითხული?

— გამოცდის შედეგებით, საერთოდ, უკმაყოფილო არა ვარ, მაგრამ შემდგომში მუშაობისაგან უფრო მეტს, უფრო უკეთესს მოველი, — გვითხრა პატივცემულმა გოკიელმა. ეგი წასელას აპირებდა. კეთილი ღიმილით ჰკონდა სახე გამაღრული, რამდენიმე წუთის წინ ხომ მან გარლან ნიკოლაძე გამოცადა.

კარგია, როცა ამაგი გიფასდება.

Ვ. ᲭᲘᲜᲯᲐᲠᲐᲣᲚᲘ



გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოგრაფიის სპეციალობის მესამეკურსელებმა მორიგი გამოცდა საბჭოთა კავშირის გეომორფოლოგიაში ჩაბარეს დოცენტ შალვა ყიფიანს.

**სურათზე:** გამომცდელ შ. ყიფიანს (მარჯვნივ) რუკასთან პასუხობს სტუდენტი ციცანა ეორეიკაშვილი.

## პასუხისმგებლობის გრძნობით

წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლა ახალგაზრდისაგან დიდ მონდომებასა და ენერგიას მოითხოვს. ბევრი ახალგაზრდა, რომელიც თბილისის ამა თუ იმ წარმოება - დაწესებულებაში აქტიურად მუშაობს, საღამოს საათებში ჩვენი უნივერსიტეტის აუდიტორიებში მერხს უზის და გულსამკერდ ისმენს ლექციებს, მონაწილეობს პრაქტიკულ და სემინარულ მუშაობაში. ისინი საღამოს სწავლების გზით იღებენ უმაღლეს განათლებას. მიმდინარე საგამოცდო სესიებზე მრავალმა მთგანმა ისახელა თავი.

ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართულ სექტორზე საღამოს დასწრებული განყოფილების მხოლოდ I კურსია. აქ 33 სტუდენტი სწავლობს. ისინი ამ საგაზაფხულო სესიებზე ამბარებდნენ მხოლოდ ერთ საგანს — ქართულ ზეპირსიტყვიერებას. შეფასების ნიშნები ასეთია: 14 ფრიადი, 6 კარგი და 13 დამაკმაყოფილებელი. ყოველი სტუდენტი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოეცხადდა გამოცდაზე, შედეგებიც სასურველია. კარგი მომზადების გამო გამომცდელის, პროფ. ქს. სიხარულიძის, მოწონება დაიმსახურეს სტუდენტმა: ი. ბზეკალაკამ, კლ. გეწოძემ, თ. გვარჯალაძემ, ა. კორძაიამ, ნ. მესხმა, ი. პატარაშვილმა, მ. სიხარულიძემ, ე. ტაბალიაშვილმა, მ. შარიქაძემ, ტ. ფილიშვილმა, ელ. ღვინიაშვილმა ლ. ტირაცოვამ, ირ. ხოფლაძემ.

**ჟ. ზარნაძე**

## წარმატებებს ინარჩუნებენ

ისტორიის ფაკულტეტის IV კურსზე გამოცდები წარმატებით დაიწყო. ფრიადოსანთა „სტარტზე" მდგომნი თავიანთ მიღწევებს ინარჩუნებენ.

18 იანვარს სტუდენტები — გურამ ყორანაშვილი, ა. ახათინი, გ. შალაშვილი, ო. ქოჩიაშვილი ფრთხილად აღებენ აუდიტორიის კარებს, სადაც მათ დოც. ვ. დონაძეს ახალი ისტორიის II ნაწილში უნდა ჩაბარონ გამოცდა. მოუთმენლად ელოდებიან ამბანაგები მათ გარეთ გამოსვლას. კმაყოფილია ლექტორი, მაშასადამე, კმაყოფილნი არიან სტუდენტებიც: ორი ფრიადი, ორიც კარგი. გამოცდის პროიდეშიც გულითადი საუბარი იმბება ლექტორსა და სტუდენტებს შორის. „მეტი წიგნები, მეტი წიგნები". ასეთი იყო ლექტორის რჩევა.

გამოცდები ასევე წარმატებით ჩაბარეს სტუდენტებმა: ა. შენგელიამ, გ. ნარსიამ, ა. წოწკოლაურმა, რომლებმაც უმაღლესი შეფასება — ფრიადი დაიმსახურეს.

**ც. ლაშხი**

## რა აკეთეს სემესტრის განმავლობაში

ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორის საღამოს დასწრებული განყოფილების I კურსზე ბევრი ახალგაზრდა სერიოზულად ეკიდება მეცნიერების შესწავლის რთულ საქმეს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ მიღებული ჩათვლა თითო ან ზოგს — ორ საგანშიაც. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის სემინარულ მეცადინეობას არ ესწრებოდნენ ან მოუმზადებელი ცხადდებოდნენ და ამიტომ ჩათვლა არ მიეცათ სტუდენტებს: გ. ატლანოვას, ი. არაყიშვილს, ირ. ბულატოვს, ლ. ლეონიძესა და ვ. პოდეცვიროვას.

საპროფილო საგანში, თანამედროვე რუსულ ენაში, ვერ მიიღეს ჩათვლა გ. აგაჯანოვამ, ეკვ. ზინოვიევამ, ვ. ოგანეზოვმა. ხოლო სტუდენტებს — ვ. კაპლინსა და გ. ჩუეინოვს ჩათვლა ზემოდასახელებულ არცერთ საგანში არ მიუღიათ.

ამ ახალგაზრდების უპასუხისმგებლობა ამაზე შორს ვერ წავა.

კიდევ მეტი საყვედურის ღირსი არიან ამ განყოფილების III კურსის სტუდენტები. აქ 13 სტუდენტი სწავლობს. ამ მეცარიცხოვან ჯგუფში საუკეთესო პირობები არსებობს იმისათვის, რომ უკეთ იქნეს ათვისებული ყველა საგანი. სამწუხაროდ, ასე როდია: აქ 4 სტუდენტი ჩათვლის გარეშეა დარჩენილი. მ. დაიჩოვას ჩათვლა არა აქვს საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიაში, ს. კუიმჯიანს — პოლიტეკონომიაში, კ. სომხიანს—რუსული ენის ისტორიაში, ხოლო ნ. ჭეონიას ჩათვლა ვერ მიუღია ორ საგანში: პოლიტეკონომიასა და რუსული ენის ისტორიაში.

ამ კურსმა გამოცდა ჩაბარა უცხო ენასა და თანამედროვე რუსულ ენაში. უცხო ენაში გამოცდაზე არ გამოცხადდნენ დ. კაშია, სვ. კუიმჯიანი და ნ. ნემსაძე, ხოლო ვინც გამოცხადდა, მათგან ფრიადის მიღება ვერაცერთმა ვერ შეძლო.

თანამედროვე რუსული ენის გამოცდაზე დაიწერა ერთადერთი ფრიადი. იგი დაიმსახურა ა. დავიდოვამ. სამმა სტუდენტმა კი ორიანები მიიღო. ესენი არიან: მ. დაიჩოვა, სვ. კუიმჯიანი და კ. სომხიანი. ამ სტუდენტებს ჩათვლებიც აელიათ და გამოცდებზეც ჩაიჭრნენ, მაშ რა აკეთეს მათ სემესტრის განმავლობაში?

**ა. ელიოზიშვილი**

# გამოცდების დღიური

## რით ავხსნათ?

ისტორიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებმა გამოცდა ჩაბარეს სამ საგანში: პირველყოფილი საზოგადოების ისტორიასა და ეთნოგრაფიაში (გაერთიანებულია ერთ საგნად), ხელოვნების ისტორიასა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. პირველ ორ საგანში დაწერილი ნიშნების მიხედვით შედეგები ბრწყინვალეა:

პირველყოფილი საზოგადოების ისტორიასა და ეთნოგრაფიაში გამოცდებზე გავიდა 43 სტუდენტი, აქედან ფრიადი შეფასება დაიმსახურა 24-მა, კარგი — 13-მა, დანარჩენმა ექვსმა — დამაკმაყოფილებელი. ხელოვნების ისტორიაში კი 43 სტუდენტიდან 31-ს ფრიადი დაეწერა, დანარჩენს კი — კარგი. არ დაწერილა არცერთი დამაკმაყოფილებელი. მაშ, 86 კაცგამოცდიდან ამ ორ საგანში დაწერილია 55 ფრიადი, 25 კარგი და 6 დამაკმაყოფილებელი. ამ ნიშნების მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომდინარე ხასწავლო წელს ისტორიის ფაკულტეტზე მიღებული ნაკადი მეტად ძლიერია. სამწუხაროდ, ასეთი შეხედულება ვერ გაამართლა კურსმა მესამე გამოცდაზე, კერძოდ, ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. ამ საგანში 14 იანვარს I ჯგუფის 20 სტუდენტიდან გამოცდაზე გამოცხადდა მხოლოდ 14. ორმა — გ. იობაშვილმა და გ. ლიპარიშვილმა, ფრიადი დაიმსახურა, კარგი მიიღო სამმა სტუდენტმა; დაკმაყოფილებელი — რვამ, ხოლო სამმა — ლ. ბალხამიშვილმა, ნ. გოძიაშვილმა და ნ. მეკვაბიშვილმა — არადამაკმაყოფილებელი. მეორე ჯგუფს გამოცდა ჩაეტარდა 16 იანვარს. ამ ჯგუფში 23 სტუდენტია; დეკანატმა ამ დღეს დაუშვა გამოცდებზე ადრეთვე ის 6 სტუდენტი, რომლებიც 14-ში თვითნებურად არ გამოცხადდნენ გამოცდაზე. ამ დღეს გამოცდილი ძირითადი ჯგუფიდან ფრიადი დაიმსახურეს ლ. ზუმბურიძემ, ჯ. სტეფნაძემ და გრ. ქავთარაძემ. გარდა ამისა, დაიწერა 7 კარგი, 8 დამაკმაყოფილებელი და 5 არადამაკმაყოფილებელი. უცოდნირობა გამოიჩინეს სტუდენტებმა: ნ. კუხალაშვილმა, ალ. რატიანმა, გ. ძიძიგურმა, ჯ. წერეთელმა და ლ. ჯაფარიძემ.

საყურადღებოა ასეთი ფაქტი: სტუდენტებმა, რომლებმაც პირველ ორ გამოცდაზე მიიღეს ფრიადები, ან ფრიადი და კარგი, ბოლო გამოცდებზე დაიმსახურეს არადამაკმაყოფილებელი.

აი ეს სტუდენტები: ლ. ბალხამიშვილი (ორი ფრიადის შემდეგ მიიღო ორიანი), ნ. მეკვაბიშვილი, ნ. კუხალეიშვილი, ჯ. წერეთელი და ლ. ჯაფარიძე (პირველი ორი გამოცდიდან ერთში ფრიადი და ერთში კარგი აქვთ მიღებული, ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში კი მოუმზადებელნი გამოცხადდნენ გამოცდებზე). რით უნდა აიხსნას ეს ფაქტი?

**ბ. გოგუაძე**

## რეპორტაჟი

# ერთი საათი გამოცდებზე

ორიოდე წლის უკან გამოცდებზე შევდიოდი როგორც სტუდენტი. დღეს კი დავალებული მაქვს ამ გამოცდიდან რეპორტაჟის გაკეთება.

ზუსტად დანიშნულ დროზე ეწყება გამოცდა.

საგანი — გაზეთის გამოშვებისა და გაფორმების ტექნიკა.

გამომცდელი — ჟურნალისტიკის კათედრის დოცენტი ტარიელ კვანჭილაშვილი.

გამოსაცდელები — მეორეკურსელი ჟურნალისტები.

— შეიძლება?

— მოპრძანდით.

ამბობენ, თუ სტუდენტი მომზადებულია, იგი დინჯად და აუღელვებლად შედის გამოცდაზეო...

არ არის მართალი.

გამოცდას ყოველთვის თან სდევს ხოლმე გარკვეული მღელვარება.

დღესაც ასეა.

ღელავენ სტუდენტები, დაკვირვების დიდი უნარი არ აბიას საჭირო, ეს რომ შეამჩნიო.

ამჩნევს ამას ლექტორიც. აღელვება კი ხელისშემშლელია. პასუხის დროს. ყველაზე უკეთ ეს ლექტორმა იცის.

— გვაღირსა თოვლი ზამთარმა, რას იტყვით?

კიდევ რამდენიმე ასეთი უბრალო და გამოცდასთან დაკავშირებული ფრაზა. და ეს თითქოს უმნიშვნელო შტრიხი მშვიდსა და გულთბილ ატმოსფეროს ამკვიდრებს.

ასეთ გარემოში შეგიძლია აუღელვებლად იფიქრო, მოიკრიფო აზრები, გაიაზრო ნასწავლი, დამშვაკებული და აი, ფიქრობენ სტუდენტები...

საფიქრებელიც აქვთ. საგამოცდო ბილეთები ისევ შეგვეცილი, რომ ოიოლად ფიხს ვერ გახვალ. განსაკუთრებული კი აქ ისაა, რომ ყველ ბილეთს თან ახლავს... ამოცანა.

ნუ გაუკვირდებათ მათემატიკოსებს, ფიზიკოსებს. ჟურნალისტებსაც აქვთ ამოცანები, რომლებზეც, სხვათაშორის, ისეთივე ზუსტი პასუხის გაცემაა საჭირო, როგორც ინტეგრალების ამოხსნისას.

აი მაგალითად: „გაზეთი ოთხგვერდიანია, «პრავდის» ნახევარი ფორმატის; გვერდში 5 სვეტია, სვეტში — 100 სტრიქონი. გაწყობთ კორპუსით.

შეავდგინოთ მეორე გვერდის მაკეტი".

შემდეგ მოცემულია გვერდის ეგზემა, რომელიც საფუძვლად ედება შესადგენ მაკეტს.

— ამით სტუდენტების თეორიული ცოდნის პრაქტიკაში შემოწმება ხერხდება, — გვეუბნება გამომცდელი.

მართლაც, ეს სიახლე გამოცდაში იმ დიდი საქმის ერთი პატარა ნაწილია, რომელსაც სწავლის ცხოვრებასთან დაკავშირება ჰქვია...

ფიქრობენ სტუდენტები: თამარ ჩიტაური, გვენ მოლაშხია, ავთანდილ ბუხრაშვილი...

თითოეულს იცნობს მასწავლებელი და ეს მარტო იმაში როდი გამოიხატება, რომ სახელებით მიმართავს მათ...

აი, ავთანდილ ბუხრაშვილი. ზაფხულში ნაყაბირაღზე იმუშავა, კარგად იშრომა. შეაქებ, მაგრამ, ეტყობა, ეს შექება ცუდად გიფო ავთანდილმა.

— ყაბირელები კარგა ხანია დაბრუნებულნი იყვნენ, დასვენების ვადაც გუვდთან, მაგრამ ავთანდილი ლექციებზე მოსულას არ აბარებდა, — იხსენებს ტარიელ კვანჭილაშვილი.

შემდეგ ამისათვის პარტიულ კრებაზე გაკიცხეს იგი.

ახლა?

ახლა, თუ დაინტერესდებით, ამ საგაზეთო საუკეთესო სტუდენტად დოცენტი ავთანდილ ბუხრაშვილს დასახელებს...

იცნობს, კარგად იცნობს თითოეულ მათგანს, იცის თითოეულის მომზადების, ცოდნის დონე, მაგრამ გამოცდა მაინც გამოცდაა.

აი, გუშინ...

(რატომ გუშინ?.. იმიტომ რომ ჯგუფი ორ დღეს ამბარებს ამ საგანს. ეს საერთოდ მიღებული წესი აქ მტკიცედ დაუმკვიდრებიათ. ხდება ხოლმე ისე, რომ ერთ დღეს არავინ მივა, მეორეს — ყველა მოაწყდება. მაშინ გადაიღლება გამომცდელიც. ობიექტურობა ლალია. აქ ეს საშიშროება მოხსნილია).

— გუშინ ერთმა ყმაწვილმა ვერ გაამართლა ჩემი იმედები, ვერ მიიღო უმაღლესი შეფასება, მოუხედავად იმისა, რომ მის ცოდნაში ექვი არ მეპარებოდა. ვერ მომზადებული.

გამოცდა მაინც გამოცდაა.

და თუმცა ატმოსფერო მშვიდია და წყნარი, ჟეკეუნა პაპაშვილს მაინც აღელვება სძლევს. ეჭვი ეპარება მის მიერ შედგენილი მაკეტის სისწორეში.

— შეცდომა არის, მაგრამ უმნიშვნელო, — ამშვიდებს გამომცდელი.

ჟეკეუნა პასუხობს, თეორიულ დებულებებს პრაკტიკით ამოწმებს, გაზეთებს იშველებს.

ყმაწვილია გამომცდელი.

მაგრამ არც ცოლნა ამოწურავს ბილეთებში დასმულ კითხვებზე პასუხით და არც გამოცდა იფარგლება ბილეთით.

დამატებითი კითხვა — გაზეთის ნომრების გარჩევა.

ჟეკეუნა პასუხობს, პასუხობს საგნის ცოდნით და აღელვებულად.

იგი ისანიც კი არ შეიშფოთა, რომ მის გამოცდას ჟურნალისტიკის კათედრის გამგეს პროფ. დავით გამეზარდაშვილმა შემოუსწრო.

— თქვენ პაპაშვილი არა ხართ? — ეკითხება პროფესორი.

— დიახ!

პროფესორს ეცინება:

— ამ ჯგუფს წინა გამოცდაზეც დავესწარი და სწორედ ეს გოგონა პასუხობდა მაშინაც. ფრიადი მიიღო.

ახლაც ფრიადი დაიმსახურა ჟეკეუნა პაპაშვილმა.

მაგიდასთან ლამარა ბახტაძეა, ჯგუფხელი, ფრიადოსანი, კარგი აქტივისტი.

მისი პასუხები იმაზე მეტყველებენ, რომ ამ სტუდენტს მთელი წელიწადი დაკვირვებით უმუშავია, მარტო წინასაგამოცდო ციებ-ცხელების პერიოდით არ შემოფარგლული.

მისი გვარის გასწვრივაც ფრიადი იწერება.

ზოგჯერ სტუდენტს უსაფუძვლო პრეტენზიები უნდება გამომცდელის მიმართ.

ყოველგვარი ეჭვიანობების თავიდან ასაცილებლად დოც. ტ. კვანჭილაშვილი დარწმუნების მეთოდს მიმართავს; იგი არწმუნებს სტუდენტს იმაში, თუ რა შეცდომა დაუშვა ან როგორი პასუხი უნდა გიეცა.

ასე იყო ნინო ცაცანაშვილის გამოცდის დროსაც.

ნინოს კარგი ეწერება, მაგრამ იგი მაინც კმაყოფილია.

კიდევ ერთ დეტალს მინდა ხაზი გავუსვა:

ყველ სტუდენტი შესვლისას სალამს აძლევდა გამომცდელს, პასუხის შემდეგ მადლობას იხდიდა და ეშვიდობებოდა. ესეც კარგი მოქმედება გამოცდებზეა. ეთიკური მხე...

ერთი საათი გავიარეთ. რეპორტაჟის თემაც ასეთია: ერთი საათი გამოცდა.

გამოვდივარ.

გამოცდა კი ...ლდება.

**ჯ. ჩირკვაძე**

**სურათზე:** ტ. ტარიელ კვანჭილაშვილ (მარჯვნიდან პირველი) გაეს გამოშვებისა და გაფორმების ტექნიკაში, გამოცდ ბარებს ჟურნალისტიკის ნყოფილების II კურსის სტატი შ. გულუა.

ქიმიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი მადონა თვალბეიშვილი (მარჯვნივ) გამოცდას უმაღლეს მათემატიკაში აბარებს დოც. პ. კოლონიას და ასისტენტ ნ. ნიშნიანიძეს.

# ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასა, სკკპ ც.კ-თან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტსა და სსრ კავშირის ელექტროსადგურთა მშენებლობის სამინისტროსთან ერთად 1960 წლის 19—21 დეკემბრს ქ. ირკუტსკში მოაწყო უმაღლეს სასწავლებელთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია გოელროს გეგმის 40 წლისთავთან დაკავშირებით.

კონფერენცია მიეძღვნა პრობლემას— „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის". კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილი მოღვაწენი, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სვერდლოვსკის, გორკის, თბილისის, ივანოვოს, კემეროვოს, ომსკის, პერმის, ტომსკის, ირკუტსკის, ულან-უდის და სხვ. ქალაქების უმაღლეს სასწავლებლთა მეცნიერი მუშაკები. კონფერენცია გახსნა მისი მოწვევის ორგკომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრმა პროფ. პ. დ. ლებედევმა.

კონფერენციაზე ვრცელი შესავალი სიტყვით გამოვიდა სკკპ ირკუსტკის სმოლო კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. ე. შერბინინი. იგი მხურვალედ მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს. შეეხო რა პარტიის ამოცანებს ქვეყნის ელექტროფიკაციის დარგში, ამხ. შერბინინმ ხაზი გაესვა ციმბირის რაიონების უდიდეს როლს ენერგეტიკული მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების გადაჭრაში, ციმბირის რაიონებისა, რომლებსაც მოეპოვებათ ამოუწურავი სიმაბები და ჰიდროენერგეტიკული რესურსები.

კონფერენციის პირველ პლენარულ სხდომაზე მოხსენებით — „კომუნისტური პარტია — ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის შთამაგონებელი და ორგანიზატორია" გამოვიდა პროფ. ს. ი. მორაშოვი. ამავე პლენარულ სხდომაზე მოხსენებით — „ელექტროფიკაცია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველი" გამოვიდა ეკონ. მეცნ. დოქტორი პროფ. ა. ა. ზვორიკინი.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი შემდეგი ორი მოხსენება: პროფ. ვ. დ. ლებედევისა — „ენერგეტიკული განათლება სსრ კავშირში" და სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, სსრკ მეცნ. აკად. ციმბირის განყოფილების აღმოსავლეთ ციმბირის ფილიალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ა. მელენტიევისა — „ენერგეტიკის განვითარების ძირითადი მეცნიერული პრობლემები".

პლენარულ სხდომებს შეა მუშაობდნენ ისტორიულ, ეკონომიურ და ტექნიკურ მეცნიერებათა სექციები. კონფერენციაზე მოსმენილ იქნა დაახლოებით 50-მდე მოხსენება და ინფორმაცია. მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი.

ისტორიულ მეცნიერებათა სექციაში (ხელმძღვანელი — პროფ. ს. ი. მორაშოვი) მოსმენილ 14 მოხსენებაში მკაფიოდ იყო ნაჩვენები ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური იდეის განხორციელებისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის მთავარი ეტაპები. მოსმენილ იქნა ისტორ. მეცნ. კანდიდატის ი. მ. ნეკრასოვის მოხსენება — „ვ. ი. ლენინი — გოელროს გეგმის შემქნელი თამამაგონებელი"; სკკპ ც.კ-თან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკის, ისტორ. მეცნ. კანდიდატის თ. ვ. შუბელეკის მოხსენება — „ლენინური დოკუმენტები ქვეყნის ელექტროფიკაციის საკითხებზე", ყაზანოვის სახელობის ირკუტსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტის ა. ე. პოგრებეცკის მოხსენება — „ბრძოლა ჭესლის მშენებლობის პარტიული ორგანიზაციისა ციმბირის ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროკვანძის შექმნისათვის ბრძოლაში", ურალის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის დოცენტ მ. ე. პლუსნინოვის მოხსენება — „სკკპ-ის ბრძოლა რკინიგზის ელექტრიფიკაციისათვის შვიდწლედში" და დოცენტ ფ. ი. კოროტკინოვის მოხსენება — „სკკპ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის ბრძოლაში".

ამავე სექციამ მოისმინა ამ სტრიქონების ავტორის მოხსენება „საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის".

ეკონომიურ მეცნიერებათა სექციაში (ხელმძღვანელი — პროფ. ბ. ი. სტეპანოვი) მოსმენილ იქნა 13 მოხსენება, რომელთა შორის აღსანიშნავია გორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ს. ი. პოხოროვის მოხსენება — „სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაცია და ქალაქსა და სოფლის შორის არსებული განსხვავების დაძლევის პრობლემა", მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. პ. ი. სტეპანოვის მოხსენება — „სსრ კავშირის ენერგეტიკული პრობლემების ეკონომიერ-გეოგრაფიული შესწავლა", კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ლ. ი. კუხარენკოს მოხსენება — „გოელროს გეგმის მნიშვნელობა უკრაინის ინდუსტრიული განვითარებისათვის", სსრკ აკად. აკად. ეკონომიკის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. მუშაკის მ. ა. ვილენსკის და სხვათა მოხსენებები.

ტექნიკურ მეცნიერებათა სექციაში (ხელმძღვანელი — რსფსრ მეცნ. დოქ. ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე პროფ. ლ. დ. ბელკინი) მოსმენილ იქნა 14 მოხსენება, რომლებშაც ცხადდებოდა სსრ კავშირის უდიდესი მიღწევები ენერგეტიკული ტექნიკის განვითარებაში, აგრეთვე მიღწევები ელექტროსადგურებისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის დარგში. აღსანიშნავია პროფ. ა. ი. ბერგერის მოხსენება — „ტურბოგენერატორების მშენებლობის განვითარება სსრ კავშირში", პროფ. ლ. დ. ბელკინის მოხსენება — „ენერგეტიკული ტექნიკის განვითარების ისტორიული გზები", პროფ. დ. კ. მინროვის მოხსენება — „ტანგენციალ ტრანსფორტის ელექტროფიკაცია". პროფ. ე. ი. ოსოკოლოვის მოხსენება — „ინფორმაციის განვითარება სსრ კავშირში".

დასკვნით პლენარულ სხდომაზე დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი ბრძოლის ჭესლის მშენებლობის მთავარი ინჟინრის ა. მ. გინდინის (ბრაჰმეჩესის მშენებლობის ყოფ. მთ. ინჟინერია) მოხსენება — „ბრაატსკის ჭესლის მშენებლობა", რომელშაც მკაფიოდ დაახასიათა ინჟინერიული კასკადის ამ უდიდესი საფუძვლის გრანდიოზული მშენებლობის მსვლელობა. ამავე სხდომაზე მოსმენილი იქნა სსრკ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტის მ. ვ. სტრიჟოვის მოხსენება — „სსრ კავშირის სათბობი ბალანსი", აგრეთვე ინფორმაციები სექციების მუშაობის შედეგების შესახებ, რის შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რეკომენდაციები და მისალმებანი.

კონფერენციის მონაწილეთათვის მოაწყო ეკსკურსიები ირკუტსკის ჭესის დასათვალიერებლად, რომელიც ალუმინიუმის მთლიანად ნოვოსიბირსკის ქარხნის მიერ გამოშვებულ უახლესი ტიპის ტურბოგენერატორებით. მოაწყო ეკრეთვე ეკსკურსიები ბრაატსკის ჭესისა და ალუმინის ქარხნის მშენებლობათა და ბაიკალის ულამაზესი ტბის დათვალიერებლად.

კონფერენცია უადრესად საქმიან ვითარებისა და მეცნიერ მუშაკთა თანამეგობრობის ნაშნის ქვეშ ჩატარდა.

დოც. ი. კოდუა

# Рабиндранат Тагор и республика Индии

Сегодня весь индийский народ празднует день Республики Индии. 26 января 1950 года Индия объявила себя суверенной республикой. «День 26 января является знаменательной исторической вехой, — говорится в послании Н. С. Хрущева к премьер-министру Индии Джавахарлалу Неру, — в жизни индийского народа, в его борьбе за развитие и укрепление независимого индийского государства».

Именно в этот знаменательный день — день республики, думы и чаяния индийских патриотов устремлены к светлому будущему. Индийцы страстно желают приблизить время, когда их родина — Индия преодолест тяжелое колониальное наследие, оставленное английскими колонизаторами, станет цветущей, экономически развитой и независимой страной.

Великий сын индийского народа, патриот своей родины, Рабиндранат Тагор жаждал увидеть независимую Индию, он гневно протестовал против порабощения его соотечественников английскими колонизаторами. В одном из писем о России Тагор говорит о том, что мир разделен на два полюса: в одном полюсе сконцентрировано все духовное богатство, а на другом — материальная нищета. Англичане поработители безжалостно расправились с поднявшими голос за свободу и независимость бенгальцами. В городе Дакке и об этом событии нигде не сообщалось. Это бесстыд кровопролитие взволновало патриота и гуманиста Тагора.

«С некоторых пор рассказы о расправах в Дакке волновали мой ум. Однако англ не газеты не помещали ни одного сообщения об этой бесчеловечной жестокости; но по всей стране носится весть, если в результате автомобильной катастрофы гибнет хоть один человек. А у нас жизнь индийцев неимоверно дешева! Нужно ли беспокоиться о тех, кто ничего не стоит?»

Рабиндранат Тагор видел, какую грязную политику проводили в Индии английские колонизаторы. Он был свидетелем расстрела безоружных людей в городе Амритсаре в 1919 году поднявших гневный голос против чужеземцев—англичан, требовавших свободу и независимость. Его возмущала травля индусов на мусульман, грабеж и разорение своей родины.

Тагор возненавидел этих «цивилизованных людей», английских колонизаторов — душителей свободы и независимости других народов. Он глубоко верил и убеждал других, что недалек тот день, когда «англичане будут вынуждены отказаться от своей индийской колонии». «Когда-то в далекой молодости, — пишет Тагор, — я всей душой верил, что именно Европе суждено стать колыбелью цивилизации. Но сегодня, когда я готовлюсь покинуть мир, от этой веры не осталось и следа... И все же я не впаду в тяжкий грех и не утрачу веру в человека, я буду надеяться, что наступит момент, когда в истории его откроется новая глава... Я верю, что этот день, может быть, придет с Востока и принесет с собой людям истинную цивилизацию и настоящие ободряющие слова... Тогда непокорный человек, преодолевая все преграды, снова вступит на свой победоносный путь, чтобы отвоевать свое утраченное человеческое наследие».

Как истинный патриот, Рабиндранат Тагор во многих своих рассказах бичует английских колонизаторов. Так, например, в рассказе «Свет и тени» великий новеллист раскрывает подлинное лицо английского хищника-завоевателя. Чиновник-англичанин ради забавы стреляет в парус индийского баркаса. Судно тонет и при этом погибает один гребец. А другой палач — англичанин-полицейский приказывает разрезать рыбацкую сеть, оказавшуюся на пути лодки, только потому, что ему не хотелось тратить времени на объезд. Вследствие этого рыбаки лишились своего единственного достояния.

«Есть много преступлений, — пишет Тагор, — которые требуют немедленного вмешательства... Тогда бывает мучительно стыдно утешать себя ссылкой на правосудие.

Герой рассказа — молодой баккалавр Шошибохушон — возмущается преступлениями англичан. Он пытается заступиться за простых людей. Однако его попытки безуспешны. Пострадавшие индийцы, давно потерявшие веру в справедливость правосудия, не поддерживают Шошибохушона. В результате он сам попадает в тюрьму.

Пламенный патриот и художник слова — Рабиндранат Тагор ищет новые пути к свободе, обращается к истокам национально-освободительного движения. В одном стихотворении великий поэт и патриот Индии говорит о судьбе своей Родины:

*«Где мысль бесстрашна и голову*
*держит высоко,*
*Где знание свободно,*
*Где мир не разбит на клетки*
*перегородками,*
*Где слова исходят из глубины*
*истинной,*
*Где неустанное стремление*
*простирает руки к совершенству,*
*Где светлый поток разума*
*не блуждает в бесплодной*
*и мертвой пустыне песков,*
*Где разум направлен к высоким*
*помыслам и деяниям,—*
*В этих небесах свободы,*
*отец мой, да пробудится*
*страна моя!»*

В начале XX века Индия по-прежнему продолжала оставаться главной опорой британского колониального владычества. Борьба против колонизаторов была очень суровая. В. И. Ленин с пристальным вниманием следил за развитием событий в далекой Индии. Придавая им огромное международное значение, он неоднократно рассказывал русским рабочим на страницах газеты «Пролетарий» о героической борьбе индийского народа за свою свободу и независимость.

В результате жестокой и непримиримой борьбы индийский народ вырвал у английских колонизаторов свой суверенитет. 15 августа 1947 года Индия стала суверенным, свободным и независимым государством, а через три года она была объявлена республикой.

Страстная, вековая мечта и чаяния патриота индийского народа Рабиндраната Тагора воплотилась в жизнь. Национально-освободительное движение индийского народа привело к образованию независимой и суверенной Индии.

Республика Индии в сотрудничестве со всеми миролюбивыми странами и народами вступила на путь прогресса. Традиционная дружба между народами двух великих стран — Индии и Советского Союза, укреплению которой в немалой степени способствовал наш Рабиндранат, помогает делу мира и сотрудничества между всеми странами.

«Дружба наших народов — говорил Н. С. Хрущев, — большое историческое завоевание. Его надо ценить и всемерно укреплять, ибо она служит на пользу обоим нашим народам».

*ДЖ. ЛИТТОН*
Профессор, доктор филологических наук

# ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲓᲐᲛᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ

ფიზიკის ფაკულტეტის ბევრი სტუდენტი კარგად ათვსებს საზოგადოებრივ დისციპლინათა შესწავლასა და ფრაზიდზე სწავლას. ქართული განყოფილების IV კურსის სტუდენტები: მ. კვიშაძე, ჯ. მებონია, ო. ჭავჭანიძე, ალ. ხელაშვილი და სხვები წლების განმავლობაში აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობად ითვლებიან. ამავე დროს სანიმუშოა მათი აკადემიური მაჩვენებლებიც. მიმდინარე საგამოცდო სესიაზე ყოველ მათგანს უკვე 8 ან 4 ფრიადი აქვს მიღებული. თავი ისახელეს პირველკურსელებმაც: ნ. ზალიაშვილმა და თ. ჯალაღანიამ ფრიადი წარმატებით დაამთავრეს გამოცდები.

ახალი საამაყო სტუდენტები დასახელებული ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზეც ბევრნი არიან. სამ საგანში ხუთიანები აქვთ მიღებული ფრიადოსან სტუდენტებს: ი. ბარაულს, ვ. შურს, პ. თოდუას, ი. იტკინს, ვლ. გრომოს. მათ მხარდამხარ მიჰყვებიან ფაკულტეტის ალკა ბიეროს მდივანი ალ. იკრიანი, მ. ოდიშარია, მ. ჯანელიძე, ი. აბიანი, ტ. პეტროვა და სხვები, რომლებმაც ჯერ-ჯერობით ორ-ორი საგანი ჩააბარეს და ორივეში ფრიადი შეფასება დაიმსახურეს.

პირველი საგამოცდო სესია წარმატებით დაამთავრა პირველკურსელმა ვ. ბავერმანმა, რომელსაც სამივე საგანში ფრიადი აქვს მიღებული, კურსის ახალბედენ აგრეთვე ისეთი სტუდენტები, როგორიც არიან ჯ. ჯავახიშვილი, ი. იგითხანოვი და სხვები.

ამ გულისგამხარელელ ფაკულტეტთან ერთად ფაკულტეტზე ბევრ საწყენ ფაქტსაც წააწყდებით.

ქართული განყოფილების I კურსზე ზოგად ფიზიკაში 30 არადამაკმაყოფილებელი დაიწერა. მათემატიკურ ანალიზში 15 არადამაკმაყოფილებელი, ანალიზურ გეომეტრიასა და უმაღლეს ალგებრაში კი — 14 არადამაკმაყოფილებელი. ზოგი სტუდენტი 23 იანვრისათვის საერთოდ არ იყო გამოცხადებული გამოცდებზე. ორ-ორ საგანში არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ მიღებული: ზ. სეფიაშვილს, ი. გომიაშვილს, ლ. გეურქოვს, რ. ზარიძეს, ი. თევდორაშვილს, ც. ლომინაძეს, ე. სიხარულს, ვ. შევარდნაძეს, გ. ჭაკვაძეს, მ. თანდაშვილს, თ. მელითაურს, გ. სტურუას, გ. ჩხიკვაშვილს, ხოლო ც. გოცაძემ სამსავე საგანში ორიანი მიიღო.

II კურსის № 292 ჯგუფიდან 26 სტუდენტი გავიდა გამოცდაზე მათემატიკურ ანალიზში. სამმა მათგანმა — ჯ. ელიოზაშვილმა, გ. მაჩაბელმა და გ. ჭღარკავამ — ფრიადები დაიმსახურეს, ოთხმა — კარგი მიიღო, 4 სტუდენტის ცოდნა დამაკმაყოფილებელზე შეფასდა, ხოლო 15 სტუდენტს არადამაკმაყოფილებელი დაეწერა.

ზარმაცი სტუდენტები ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზეც გამოვლინდნენ. პირველკურსელმა ნ. მუსაევმა სამივე საგანში ორიანი მიიღო, ხოლო ნ. დიდებულიძეს, ნ. ხეჩინაშვილს, ჯ. მაკვარიანსა და ელ. სხირტლაძეს ორ-ორ საგანში აქვთ მიღებული არადამაკმაყოფილებელი შეფასება.

თეორიულ მექანიკაში არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურეს II კურსის სტუდენტებმა — ს. შალიოპამ, რ. სიროვატკინამ, ლ. ხმელაძემ, ლ. ხაკინამ. ზოგად ფიზიკაში კი ორიანები მიიღეს მ. ბოგუსმა, ნ. ჯინჯიხაშვილმა, რ. ადეიანმა, ს. მანუკიანმა და ნ. ილინმა.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა IV კურსის № 278 ჯგუფში. ამ ჯგუფის 28 სტუდენტიდან ქვანტურ მექანიკაში გამოცდაზე გავიდა 16. აქედან 10-მა არადამაკმაყოფილელი შეფასება დაიმსახურა, 3-მა ოთხიანი მიიღო, ერთმა — სამიანი და მხოლოდ ორი სტუდენტის ( ნ. ნემსაძისა და ო. გალიკაიას) ცოდნა შეფასდა ფრიადზე.

ჩამორჩენილ სტუდენტებს უნდა ახსოვდეთ, რომ ასეთი შედეგებით ისინი უნივერსიტეტში დიდხანს ვერ დაყოფენ.

ნ. ნინიძე

# სპორტის ამბები

## ზამთრის არდადეგების პერიოდში

სანტერესო დონისძიებები აქვს დაგეგმილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას სტუდენტთა ზამთრის არდადეგების პერიოდში.

შეთხლამურთა ორი გუნდი საყვრთონო შეკრებას გაივლის და შემდეგ მოხალწილეობას მიიღებს სტუდენტთა საფეხბურთო შეჯიბრებაში — დაბა ბაკურიანში. სპორტსმენებთან ერთად ბაკურიანში ახალგაზრდებიც გაემგზავრებიან. 100 კაცი მიიღებს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის საგზურებს.

უნივერსიტეტის მძლეოსნები და მოკრივეები პირველობისათვის იბრძოლებენ მოსკოვსა და ლენინგრადში ზამთრის არდადეგების პრიზზე გაბრძოლებულ შეხვედრებში.

სტუმრებსაც ელან უნივერსიტეტის სპორტსმენები: თბილისელის პირველ რიგებში ჩვენთან ჩამოვლენ სამი უნივერსიტეტის — მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის მოკრივეები, ჩოგბურთელთა, ტანმოვარჯიშეთა, მოჭიდაველთა და კალათბურთელთა ამხანაგური შეხვედრები.

არდადეგების დროს ბევრი სპეშალ ექნებათ ფიზკულტურის მასწავლებლებსაც. კათედრაზე ჩატარდება მასწავლებელთა თამბირი ტანვარჯიშში. ახალი სასწავლო პროგრამის დამუშავების მიზნით, სოფელ დიდი ლილის საშუალო სკოლაში ისინი მოაწყობენ მოსწავლეთა საწვრთნო ვარჯიშებს.

**ზ. მუშკუდიანი**

## ახალი წიგნები

ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოცა და ბაზარზე იყიდება შემდეგი წიგნები:

1. **გრ. ერემოვი**, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები (რედაქტორი ი. ქაჭარავა). წიგნი შეიცავს 432 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 1 მან. და 86 კაპ.

2. **თ. უთურგაიძე**, თუშური ქილო, აკაკი შანიძის რედაქციით. წიგნი შეიცავს 236 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 97 კაპ.

**ავთანდილ გურგენიძე**

## მაშინ ავუხსნი

საქართველოა ქართველის გული,
მისი სინდისი,
მისი ნამუსი...
და მეც ისე ვარ შეყვარებული —
რომ ამ სიყვარულს ვერვის ავუხსნი.

თუ ვეზიარე ცოტნე დადიანს,
თუ მამულისთვის
გავხდი ნამუსრი, —
ჩავეხუტები მიწას მადლიანს
და ჩემს სიყვარულს მაშინ ავუხსნი.

## ოდეგს

გაახარებდათ ურჯულოებს
ის შენი ცოდვა,
ჯანდაბა ნახეს —
მათი ბინა ახლაც იქ არი,
თეკვსმეტი წელი შენთვის იყო ძალიან
ცოტა,
უკვდავებისთვის როგორ იკმარე?...
პირსისხლიანი ჯალათები
თუ კვლავაც მოვლენ,
ინდომეს ჩვენი კარმიდამოს
ნგრევა-აკლება, —
მე შენზე ნაკლებ
როდი მიყვარს სიცოცხლე, ოლეგ,
და არც სიკვდილი მეყვარება
შენზე ნაკლებად.

## გაღაქტიონი

სიცოცხლე მისი
ყოფილა ლექსი,
ურომლისობას როგორ იფიქრებდა...
იყო ცივიც და უმხურვალესიც,
იყო დამწვარი,
წყაროსავით ჩქეფდა.

იყო დამთვრალი ვარდისფერ თოვლით,
ჭირსაც და ლხინსაც ლექსით ადიოდა,
საქართველოში არ მყავდა ტოლი
და კენტად, ალბათ, მიტომ დადიოდა.

ჩურჩული მისი
წყარიერს ესმის,
სიცოცხლე მისი იპოვეს იებმა...
ზოგს თავის დღეში ვერ უთქვამს
ლექსი,
ზოგს კი, —
სიკვდილიც ეპოეზიებს...

* * *

ვენაცვალები მშობლიური
ზეცის კამარას,
დედასთან ერთად საქართველოს
დიდებას ვფიცავ...
მშობელ მიწაში ნუ გამიჭირით
მაინც სამარეს:
— ვაი, თუ მკერდი ეტკინოს მიწას!...

ქუჩა სავსეა მზითა და ჭარით
(რაღა იგი და რაღა ცა!...)
ქუჩა ყველაფრით ავსილი არის,
მაინც აკლია რაღაცა...
გული სავსეა მზითა და ჭარით
(ვაბა ოცნებამ დაქანცა?...)
გული ყველაფრით ავსილი არის,
მაინც აკლია რაღაცა...

# სად დავისვენოთ?

მოვიდა ზამთარი და, როგორც იქნა, თან მოიტანა თოვლი.

თოვლს არდადეგებიც მოპყვა. უკან დარჩა საგამოცდო სესიების ციებ-ცხელება.

მართალია, ზოგიერთი სტუდენტისათვის გამოცდაზე ერთხელ გასვლა საკმარისი არ აღმოჩნდა ცოდნის გამოსამეცადინეოდ, მაგრამ ამჯერად მათ არ შეეხებით.

წინ არდადეგებია, არდადეგებია მათთვის, ვინც მუყაითი შრომით ცოდნაც შეიძინა და დასვენების უფლებაც მოიპოვა.

ჩვენი გაზეთის ეს გვერდიც არდადეგებს ეძღვნება.

რას გაიკეთებს უნივერსიტეტი იმისათვის, რომ სტუდენტობამ მხიარულად და შინაარსიანად გაატაროს ეს თვისუფალი 14 დღე?

სად დავისვენოთ, სად წავიდეთ?

ამ კითხვებზე გავცემთ დღეს პასუხს.

* * *

კარგა ხანია ჩვენი თვითშემოქმედებითი კოლექტივი რესპუბლიკის გარეთ არ გასულა.

მისი წარმატება რაიონულ და საქალაქო ოლიმპიადაზე იმის საწინდარი იყო, რომ ეს უფლება მოიპოვებინა. ჩვენს სიმფონიურ ორკესტრს, მოცეკვავეთა ანსამბლს, ვოკალისტებს, ინდივიდუალური ნომრების სხვა შემსრულებლებს გაეცნობა ქალაქი რიგა ზამთრის არდადეგების პერიოდში.

* * *

უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომს ყოველთვის ბევრი საგზური აქვს სანატორიუმებსა თუ დასასვენებელ სახლებში, როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე რესპუბლიკის გარეთა კურორტებზე. მართალია, ისინი საზაფხულო კურორტებად უფროა მიჩნეული, მაგრამ არანაკლებ მიმზიდველნი არიან ზამთარშიც. წყნარი ზღვა, ხეების მარადმწვანე სამოსი, თბილი გაზაფხულის პაერი, მზე, რომელიც ზამთრის მიუხედავად მაინც დაგწვავს და გაგაშავებს. მხიარული დღეები, მშვიდი საღამოები, — ყველაფერი ეს დასვენების შესანიშნავ პირობებს ქმნის. ისარგებლეთ საგზურებით.

* * *

რა დასამალია, რომ უმეტესობას ბაკურიანისაკენ გაუწევს გული. ეს ბუნებრივია: სადაც სპორტია, იქ ახალგაზრდობაცაა, ბაკურიანი კი სპორტის ზამთრის სახეობების ჯერჯერობით ერთადერთი ბაზაა ჩვენს რესპუბლიკაში.

გაემგზავრეთ ბაკურიანში. საგზურებს უნივერსიტეტის სპორტული კლუბი მოგცემთ.

გული ნუ დაგწყდებათ, თუ თხილამურებზე პირველი შედგომისთანავე

ნავე თავს მოლიპულ გზაზე იგრძნობთ და ცოტა ხნის შემდეგ მოლიპული გზის შედეგსაც იწვნეთ. ოსტატობა უცებ არ მოდის.

ბაკურიანში გამართულ შეჯიბრებებზე ჩვენი მოთხილამურეები, იმედია, ამ ზამთარსაც გულს გაგვითბობენ.

* * *

იზრდება და მშვენიერდება ჩვენი დედაქალაქი. ახალი სახლები, ახალი ქუჩები, ახალი უბნები. გაეცანით ჩვენს დედაქალაქს, მის ახალ მშენებლობებს, ინახულეთ მისი ძველი უბნები, რომლებიც ახლა სამუზეუმო ექსპონატებს უფრო ჰგვანან.

გაეცანით თბილისი, მისი ისტორიული ძეგლები, მისი ღირსშესანიშნაობანი და თქვენ დარწმუნდებით, რომ ერთ-ერთ ღირსშესანიშნავი თვისება ჩვენი დედაქალაქისა ისიცაა, რომ ძველის და საუკუნეების მიღმა შექმნილის გვერდით შენდება ახალი, მკვიდრდება ახალი. დააკვირდით ამ სურათს — საუკუნეები ეხმაურებიან ერთმანეთს — ახე უწოდა მას ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა.



* * *

უკეთ რომ გაეცნოთ ჩვენს დედაქალაქს არდადეგების პერიოდში უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოაწყობენ ექსკურსიებს



ქალაქში და ქალაქგარეთ.

მიღეთ მონაწილეობა ამ ექსკურსიებში. თქვენ დაათვალიერებთ ქალაქის პარკებსა და ბაღებს; ეწვევით მოწინავე საწარმოებს, გაეცნობით მათ ცხოვრებას, საქმიანობას.

* * *

ზოგი თქვენგანი კი ალბათ მშობლიურ სოფელს ეწვევა. მოგონებანი ალბათ ბავშვობის მეგობრები, ბებია, ილიკო, ილარიონი... გვაპატიეთ, ოცნებამ გაგვიტაცა.

სოფელში საყვარელი ადამიანები გელოდებიან, ნაცნობი ადგილები, ახალი ამბები. სანამ თქვენ სწავლობდით, სოფელშიც ხომ ბევრი რამ შეიცვლებოდა, გაახლდებოდა, გაკეთდებოდა.

მაგრამ თქვენც მოგკითხავენ ამ-ბავს და ამბავ თქვენ იცით, თუ არ შერცხვებით. არ დაგრცხვეთ თანა-



სოფლელებმა.

კარგად დაისვენეთ მეგობრებო, ამის სრული შესაძლებლობა გაქვთ.

**აზ სანეგლიძე**


**რედაქტორი ვ. ვეშაპიძე**

**რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2—38—34**

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1. ტირაჟი 1 000, უე 03214